სარბიელი

სპორტული გაზეთი პარასკევი 17 მარტი 2006 №59 (2681) ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზაზა ფაჩულიაზე დეზივით იმოქმედა მისი მწვრთნელის მაიკ ვუდსონის საგაზეთოდ ნათქვამმა, ფაჩულია მუშა ცხენივითაა, მაგრამ აშკარად მოუკლო, მეტი შეუძლია და მოეთხოვება, ვიდრე ამ ბოლო დროს აკეთებსო. კრიტიკული წერილის გამოქვეყნებიდან რამდენიმე საათში ორმაგოვერტაიმიან ჯახში ზაზამ 26 ქულა ჩაუგდო „ნიუ იორკს“ და ნბა-ში თავისი რეკორდი 3 ქულით გააუმჯობესა. მისმა „ატლანტამ“ კი ეს თამაში 117:121 წააგო.

EXCLUSIVE

ფული და სამყარო, მწვრთნელი პატარა გუნდში, შეტევა და სიჯიუტე, ესთეტიზმი და კუნთების თამაში, უეინ რუნი და რონალდინიო, მაურინიუს არმოსაწონი არჩევანი და ისიც, თუ მწვრთნელობის გარდა კიდევ რაშია სამაგალითო ლუის ვან გაალი — თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთი თვალსაჩინო და არაორდინარული სპეციალისტი „სარბიელის“ კითხვებს პასუხობს და, რა თქმა უნდა, შოთა არველაძეზეც საუბრობს.

დავით თავართქილაძის ექსკლუზიური ინტერვიუ ლუის ვან გაალთან იხილეთ მესამე გვერდზე

ტოპმიოლერი იქ არ მოხვდა

გერმანელი საქართველოში ეროვნულს ვერ ხედავს

ამაოდ ველოდით გუშინ ეროვნული ნაკრების დამრიგებლის პრესკონფერენციას. კლაუს ტოპმიოლერი და რალფ მინგე „დინამო 2“ — „მერანის“ შეხვედრას დაესწრნენ, ჰაინც ტოპმიოლერმა „ზესტაფონი 2“ — „მაღაროელს“ ადევნა თვალი, მერე კი გვიან საღამომდე გაგრძელდა მუშაობა ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების შემადგენლობებზე, რომლებსაც დღეს გამოიტანენ სამსჯავროზე.

გუშინ კი ამის შეტყობაღა მოვახერხეთ: საქართველოს ნაკრების გერმანული სამწვრთნელო შტაბი ერთობ გულგატეხილია ჩვენი ჩემპიონატის დონით და მაქსიმალურად ცდილობს, საალბანეთო შემადგენლობა გამოკლებული ლეგიონერების ნაცვლად ლეგიონერებითვე შეავსოს. უკვე ცნობილ გვარებს დავით მუჯირი, ლევან ცქიტიშვილი, გოგა გახოკიძე და ოთარ ხიზანეიშვილი დაემატნენ, რომლებიც ასევე ვერ წაჰყვებიან ნაკრებს ალბანეთში. სამაგიეროდ, ტოპმიოლერმა გოგიტა გოგუას, ვასილ გიგიაძეს, ზაალ ელიავას და გიორგი ნოდარის ძე ჭელიძეს უხმო. „დინამო“ — „ამერის“ გუშინწინდელი თამაშიდან ჰერ კლაუსმა ორი გვარი გამოიყოლა — დინამოელი ლადო ბურდული და ამერელი გიორგი დეკანოსიძე ეროვნულის კანდიდატთა შორის არიან, ისევე როგორც ზესტაფონელი გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძე.

მიუხედავად იმისა, რომ 24 გამოძახებულიდან კლაუს ტოპმიოლერი 10 ფეხბურთელსაც ვერ აგროვებს, ალბანურ სპარინგს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, თუმცა მთელ იმედს მაინც მაისის ბოლოს ავსტრია-გერმანიაში გასამართ შეკრებას უკავშირებს. პარაგვაელებთან 31 მაისისთვის დაგეგმილი სპარინგის ამბავი არახალია და ასევე გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ნაკრები 27 მაისსაც გამართავს საკონტროლო შეხვედრას: „რიგში“ პირველი არგენტინაა და დიდი შანსია, სამხრეთამერიკელებთან შეთანხმება მოხერხდეს, თუ არადა, ქართველებთან გაჯიბრებაზე მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ირანიც არ არის უარს.

ვაზრავ დეფლეგვაგველეს ფოტო

უეფას თასი 2005-2006

მერვედფინალი. საპასუხო მატჩები. წუხელ

ზენიტი *(რუსეთი)* 1:1 **მარსელი** (საფრანგეთი) (1:0)
1:0 კერჟაკოვი (69), 1:1 დეუ (74)

ლევსკი *(ბულგარეთი)* 2:1 **უდინეზე** (იტალია) (0:0)
0:1 ტისონე (22), 1:1 ბორიმიროვი (52), 2:1 ტომაშიჩი (63)

სტრასბური (საფრანგეთი) 2:2 **ბაზელი** *(შვეიცარია)* (0:2)
0:1 ედუარდო და სილვა (3), 1:1 კარლიე (11), 1:2 ედუარდო და სილვა (26), 2:2 კანტე (78)

შალკე *(გერმანია)* 3:0 **პალერმო** (იტალია) (0:1)
1:0 **კობიაშვილი** (44პ), 2:0 ლარსენი (72), 3:0 აზაუაგი (80)
შალკე: ფ. როსტი, რაფინია, დ. როდრიგესი, კრსტაიჩი, **კობიაშვილი**, ფ. ერნსტი (გ. ვარელა 68), კ. პოულსენი, ბაირამოვიჩი (სანდი 85), აზაუაგი (ბაუმიოჰანი 90), ასამოა, ლარსენი
მწვრთნელი: მირკო სლომკა
პალერმო: ანდუხარი, ძაკარდო, ბარძალი, ტერლიცი, კონტეში (ჯოვანი ტედესკო 50), ბარონე, კორინი, მუტარელი, სანტანა (მაკინვა 68), მ. გონსალესი (ბრიენცა 76), გოდეაში
მწვრთნელი: ჯუზეპე პაპადოპულო
გაფრთხილება: რაფინია, ასამოა, მუტარელი, გონსალესი, ბარონე, ტერლიცი, ბრიენცა
გაძევება: კორინი (43)
მსაჯი: გრეგ პოლი (ინგლისი)
52 000 მაყურებელი

ბეტისი (ესპანეთი) 0:3 **სტიაუა** *(რუმინეთი)* (0:0)
0:1 ნიკოლიტა (54), 0:2 იაკობი (78), 0:3 ნიკოლიტა (82)

მეოთხედფინალის, ნახევარფინალისა და ფინალის წილისყრა დღეს თბილისის დროით 16 საათზე ჰოლანდიის ქალაქ ეინდჰოვენში ჩატარდება

AFP ბელზენკირხენიდან

გელზენკირხენის „შალკემ“ „პალერმოს“ განადგურება ლევან კობიაშვილის პენალტით დაიწყო, რასაც სიორენ ლარსენმა (№9) და მიშუნ აზაუაგმა კიდევ ორი მიამატეს

AFP სტრასბურიდან

სტრასბური — ბაზელი. მასპინძლებს ორი გოლი ედუარდო და სილვამ (მარცხნივ) გაუტანა

გერმანია

მეორე ბუნდესლიგა
გადადებული მატჩები

კარლსრუე 2:1	ზაარბრიუკენი
უნტერჰახინგი 1:0	ფრაიბურგი

ირლანდია

პრემიერლიგიზიონი
II ტური

დუბლინი 1:0	დერი
უოტერფორდი 1:1	ბრეი

როიალ ლიგა

ნახევარფინალი. პირველი მატჩები

იურგორდენი (შვედეთი) 1:3	ლილესტრიომი (ნორვეგია)
კოპენჰაგენი (დანია) 3:1	მიდტიულანდი (დანია)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ დოლიძეგან ფოტო

კობა ნაყოფია და გიორგი არევაძე

სიონმა წილები და სპონსორი გაიფორმა

ბოლნისელებს საჩემპიონო ამბიციის გარდა საფუძველიც შეექმნათ

ბოლნისის „სიონში“ წილები გადანაწილდა და გენერალურ სპონსორთან ხელშეკრულებაც გაიჩარხა — ეს ყველაფერი გუშინ სასტუმრო „ქორთიარდ მარიოტში“ გაფორმდა, ღონისძიებას კი „სიონის“ მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძე და გუნდის რამდენიმე ფეხბურთელიც დაესწრნენ.

„ჩვენ ჩემპიონობა გვინდა!“ წამდაუწუმ ისმოდა ამ ღონისძიებაზე კლუბის მეწილეებისგან და მართლაც, სატურნირო ცხრილს თუ შევხედავთ, „სიონის“ საჩემპიონო შანსები მაღალია და თუ მეწილეებისგანაც და გენერალური სპონსორისგანაც უწყვეტ და მსუყე დაფინანსებას მიიღებს, ბოლნისელთა ამბიცია მართლაც რეალური იქნება.

ადრინდელი გარიგების მიხედვით „სიონის“ თანაბარი მეწილეები ბოლნისის გამგეობა და საწარმო „მადნეული“ იყვნენ, ახლა კი კლუბის აქციათა 51 პროცენტის მფლობელი ბოლნისის გამგეობა გახდა, 49 პროცენტი კერძო პირის, მეწარმე გიორგი ლომთაძის შეიქნა, ხოლო „მადნეული“ კლუბის გენერალური სპონსორი იქნება.

გიორგი არევაძე, ბოლნისის გამგებელი: აქამდე გუნდს გამგეობა და „მადნეული“ აფინანსებდნენ და შევძელით ის, რომ „სიონი“ საქართველოს ჩემპიონატში მოწინავეთა შორის ყოფილიყო, ხოლო ახლა ჩემპიონობისთვის იბრძვის. იცით, რომ საწარმო „მადნეულში“ ახალი მეპატრონე მოვიდა, რომელმაც გადაწყვიტა, „სიონში“ საკუთარი წილი გაეყიდა. თუმც „მადნეული“ გუნდთან ურთიერთობას არ წყვეტს და „სიონის“ გენერალური სპონსორი იქნება. რაც შეეხება „სიონის“ 49-პროცენტიან მეწილეს, ის გიორგი ლომთაძეა, „მინისა და მიენერალური წყლების კომპანიის“ მიერ წარმოებული „ბორჯომის“ დისტრიბუტორი. „სიონი“ კი მხოლოდ და მხოლოდ ჩემპიონობისთვის გაგრძელებს ბრძოლას.

კობა ნაყოფია, „მადნეულის“ წარმომადგენელი: მადლობა გამგეობას და გამგებელს, რომ „სიონი“ კვლავაც ჩემპიონობისთვის იბრძვის. ახლა უკვე ყველანაირი საფუძველი იქნება საიმისოდ, რომ „სიონი“ ჩემპიონი გახდეს. გუნდს კარგი ფეხბურთელები ჰყავს და ისიც დიდი პლუსია, რომ კახა ცხადაძეა მწვრთნელი. მოკლედ, ჩემპიონობის დიდი იმედი გვაქვს. ბოლო დროს „მადნეული“ გუნდს ისე ვერ დაუდგა გვერდში, როგორც ამას „სიონი“ იმსახურებდა და მეტი დაფინანსება რომ ყოფილიყო, ამიტომაც გაკეთდა ყველაფერი — გაძოჩნდა პიროვნება, რომელიც დაინტერესდა „სიონით“. „მადნეული“ კი „სიონის“ გენერალური სპონსორი იქნება. ბოლნისი ფეხბურთით ცხოვრობს და ეს რაიონი იმსახურებს იმას, რომ მისი გუნდი ჩემპიონი გახდეს. „სიონი“ უახლოეს დღეებში მიიღებს ჩვენგან ტრანშს. სპონსორული ხელშეკრულება ჩვენსა და „სიონს“ შორის სამწლიანია.

აი, ასე იყო საქმე „ქორთიარდ მარიოტში“. ბოლნისის „სიონის“ საპატიო პრეზიდენტი, საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი დავით კირკიტაძე კი გუშინდელ ღონისძიებას არ დასწრებია.

დავით თავართქილაძე

ფრანგებმა ქართველებს ფარერები დაასწრეს

საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ჯერაც ელის ფრანგების პასუხს იმის თაობაზე, თანახმა არიან თუ არა ისინი ფარერები — საქართველოს მატჩის ნოემბრიდან აგვისტოში გადატანაზე.

გეცოდინებათ, ევრო 2008-ის უეფასეულ კალენდარში გუნდებს მცირე ცვლილებების შეტანის უფლება აქვთ, თუმცა საამისოდ ყველა მეტოქის დასტურია საჭირო. ქართველებიც ფრანგულ პასუხსდა ელიან და...

იქამდე კი საფრანგეთმა თავისი საქმეც მოაგვარა — გადაწყდა, რომ „მამლები“ კუნძულელებს 11 ოქტომბერს სოშოში უმასპინძლებენ.

შეგახსენებთ, რომ თუ ფრანგებმა ქართულ-ფარერული შეთანხმება ჩაშალეს, შესარჩევი ციკლის პირველ მატჩში 2 სექტემბერს სწორედ საქართველოს შეხვდებიან...

კახა შალამბერიძე

ალბერტინი კალაძემაც გააცილა

გუშინწინ მილანის „სან სიროზე“ საზეიმო და ცოტა ნოსტალგიური განწყობილება იყო. „როსონერის“ ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ტიტულიანი ნახევარმცველი დემეტრიო ალბერტინი ფეხბურთიდან გაიცილეს. „მილანმა“ მას დიდი გაცილება მოუწყო და „ბარსელონას“ ორი გუნდით შეხვდა: ჯერ „მილან“ — „ბარსას“ 1994 წლის შემადგენლობებმა ითამაშეს, სადაც ალბერტინიმაც მიიღო მონაწილეობა და გოლიც შეაგდო. მერე კი ნამდვილი „მილანი“ — „ბარსა“ იყო, თუმცა ოდნავ შესუსტებული შემადგენლობებით. კახა კალაძემ ამ მატჩში სრულად ითამაშა, გუნდებიც ამხანაგურადვე, 1:1-ზე გაიყარნენ.

ილია ნანობაჯვილი

დაინახეთ მწვრთნელი პატარა გუნდიც!

დავით თავგართქილაძე



ლუის ვან გაალის ის სამყარო, რომელშიც ფული ჯერ არ იყო დომინანტი

ალოისიუს პაულუს მარია ვან გაალი — ეს არის სრული სახელი იმ კაცისა, რომელმაც 90-იან წლებში ზღაპრული გუნდი შექმნა და მას 1995 წელს ჩემპიონთა ლიგა მოაგებინა — ამსტერდამის „აიაქსმა“ პატრიკ კლუივერტის გოლით „მილანი“ 1:0 დაამარცხა...

ბლოკნოტი და კალამი, ჯიუტად შემტევი სტილი, წარმატებები, ჩავარდნები... ლუის ვან გაალი 54 წლისაა და ალბათ კიდევ ბევრს მოახდენს თავისი მკვეთრად თვითმყოფადი სამწვრთნელო სტილით და თუნდაც ჯიუტობით. ვან გაალისთვის ჯიუტობა ჩვენ არ დაგვიბრალებია, მას ასეთნაირად ხშირად აკრიტიკებდნენ ჰოლანდიაში თუ ესპანეთში...

ვან გაალი 1951 წლის 8 აგვისტოს დაიბადა ამსტერდამში და მისი პირველი პროფესიული გუნდიც ამსტერდამის „აიაქსი“ იყო 1972-73 წლების სეზონში. შემდეგ ის ბელგიურ „ანტვერპენში“ თამაშობდა ოთხი წელი, მერე რვა წელი როტერდამის „სპარტაში“ გაატარა, ხოლო ფეხბურთელის კარიერა დაასრულა 1987 წელს ალკმაარის AZ-ში, რომელსაც ახლა თავად წვრთნის. მწვრთნელობას ვან გაალი 1988 წელს შეუდგა — „აიაქსში“ ლეო ბეენჰაკერის თანაშემწედ მუშაობდა, ხოლო 1991 წლიდან „აიაქსის“ მთავარი მწვრთნელი შეიქნა. ჩემპიონთა ლიგის და საკონტინენტთაშორისო თასის გარდა მისი ხელმძღვანელობით „აიაქსი“ სამჯერ გახდა ჰოლანდიის ჩემპიონი, 1996 წელს კი ერთხელაც შეეძლო ჩემპიონთა თასის აწევა, მაგრამ ფინალში „იუვენტუსთან“ მოეცარა ხელი, პენალტების სერია იტალიელებმა უკეთ შეასრულეს. იმდროინდელი „აიაქსი“ ერთ-ერთი ნიმუში იყო საფეხბურთო ესთეტიზმისა...

1997 წლიდან ვან გაალმა „ბარსელონა“ ჩაიბარა, მოიგო ევროპის სუპერთასი, ორჯერ ესპანეთის ჩემპიონი გახადა „ბარსა“, ერთხელ ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალამდეც უწია და სამი წლის შემდეგ კატალონიელთა და ვან გაალის გზები გაიყარა.

2000 წელს ვან გაალმა ჰოლანდიის ეროვნული ნაკრები ჩაიბარა და როგორც მწვრთნელმა კარიერაში უდიდესი გაწბილებაც იწვნია — ჰოლანდია 2002 წლის მუნდიალზე ვერ მოხვდა. ვან გაალი „ბარსელონაში“ დაბრუნდა, მაგრამ ნახევარწლიანი მუშაობის შემდეგ ის რადომირ ანტიჩმა შეცვალა.

ვან გაალმა შეისვენა და ძალამოკრებილი „აიაქსში“ დაბრუნდა 2004 წელს, ოღონდ გუნდის ტექნიკურ დირექტორად და კონფლიქტი მოუვიდა „აიაქსის“ მაშინდელ მწვრთნელ რონალდ კუმანთან. იმავე წელს ვან გაალმა „აიაქსი“ დატოვა და მიმდინარე სეზონისთვის ალკმაარის AZ ჩააბარა, გუნდში სამი ახალი ფეხბურთელი დაიმატა, მათ შორის შოთა არველაძე.

ვან გაალთან ინტერვიუ სწორედ არველაძის ხელშეწყობით გავახერხეთ, დიდად დაგვეხმარა „ალკმაარის“ პრეს-ოფიცერი ერიკ ვან ლეუენიც.

მაშ ასე, „სარბიელის“ კითხვებს ლუის ვან გაალი პასუხობს...

— რა არის თქვენი, როგორც მწვრთნელის კრედო?

— ყოველთვის მსურს, ჩემმა გუნდებმა შემტევი, თვალისმომჭრელი ფეხბურთი ითამაშონ. ეს მოვახერხე „აიაქსში“, „ბარსელონაში“, ჰოლანდიის ნაკრებში და ამას ვახერხებ „ალკმაარშიც“.

— სამწვრთნელო კარიერაში ძალიან ბევრს მიაღწიეთ და ამ დროისთვის რა არის თქვენთვის ყველაზე დიდი გამოწვევა?

— თუ შევხედავთ იმას, ჰოლანდიის ჩემპიონატში რა ადგილი უკავია „ალკმაარს“, ჩემი უდიდესი გამოწვევა ცხრილის მწვერვალზე ყოფნაა.

— როგორც მწვრთნელს, წარუმატებლობაც გქონდათ — როგორ ფიქრობთ, გუნდის შედეგში რამდენია მწვრთნელის პროცენტული წილი?

— ამის თქმა შეუძლებელია. ყველა თამაში ერთნაირი და ერთი რანგისა არაა, მაგრამ საბოლოო ჯამში, როცა მსაჯი სასტვენს ჩაბერავს და თამაში იწყება, ფეხბურთელებს მართებთ თამაშის შექმნა.

— მწვრთნელის ოსტატობა, მისი პროფესიული უნარი მხოლოდ მისი გაწვრთნილი გუნდის შედეგით უნდა შეფასდეს?

— არა, რადგან მწვრთნელის საქმიანობას უნდა შევხედოთ როგორც პროცესს. უფრო აღვილია, საკუთარი ფასი აწიო მაშინ, როცა შენს გუნდში დიდი ფული იხარჯება და დიდი ფეხბურთელები გყავს, ვიდრე მაშინ, როცა პატარა კლუბში წვრთნი ახალგაზრდა ფეხბურთელებს და ასეთ სიტუაციაში შეგიძლია, მუყაითად იმუშაო და გუნდი ძალიან კარგად ათამაშო, მაგრამ ვერ იქნები ისეთი ყურადღების ცენტრში, როგორც დიდი მწვრთნელები.

— მწვრთნელი-ვარსკვლავი — ასეც მოგიხსენიებენ და მოგწონთ ასეთი შეფასება?

— საკუთარ თავს ასე არ ვუწოდებდი, ასეთი შეფასება არ მომწონს. „ალკმაარში“ ჩვენ, მწვრთნელები ერთი მთლიანი გუნდი ვართ, სამწვრთნელო პროცესს რამდენიმე ადამიანი ქმნის და სამწვრთნელო მიღწევები ინდივიდუალური არ არის.

— სამი წელი „ბარსელონაში“ იმუშავეთ, მაგრამ ისეთ წარმატებებს ვერ მიაღწიეთ, როგორიც „აიაქსში“ გქონდათ...

— ასეთ კატეგორიულობას არ ვეთანხმები, „ბარსელონამ“ მაშინ ევროპის სუპერთასი მოიგო და ორჯერ გახდა ესპანეთის ჩემპიონი.

— 1995 წელსა და „აიაქსზე“ ვთქვათ — ყველაზე უფრო რამ განაპირობა მაშინდელი წარმატება?

— ნიჭიერი ადამიანებისგან შექმნილმა კომბინაციამ. იმ ადამიანებისა, რომელთაც წარმატება სწყუროდათ, ფეხბურთის იმ ერთმა კონკრეტულმა სამყარომ, რომელშიც ფული ჯერ არ იყო დომინანტი.

— ვინ იყო თქვენი საყვარელი ფეხბურთელი ბავშვობაში?

— რინუს მიხელსის დიდი თაყვანისმცემელი ვიყავი, რომელიც შემდეგ მწვრთნელი გახდა. მიმაჩნია, რომ ის წარმოადგენდა პროფესიონალურ ფეხბურთს „აიაქსში“.

— ახლა ვინ მიგაჩნიათ მსოფლიოს საუკეთესო მწვრთნელად?

— გაჩნია, რით ვიხელმძღვანელებთ — შედეგებით თუ თამაშით. მომწონს მაურინიუ, მაგრამ არ მომწონს სათამაშო სტილი, რომელიც მან აირჩია.

— რა ძირეულ ტენდენციებს ხედავთ თანამედროვე ფეხბურთში?

— ფეხბურთი სულ უფრო და უფრო ძალისმიერი ხდება, აღარ არის სივრცეები ინდივიდუალისტი მოთამაშეებისთვის, თუ არ ჩავთვლით ისეთ მსოფლიო კლასის ფეხბურთელებს, რონალდინიო და უეინ რუნი რომ არიან.

— როგორ დაახასიათებდით შოთა არველაძეს? რატომ აირჩიეთ „ალკმაარის“ ნომერ პირველ ფორვარდად მაინცდამაინც არველაძე?

— ის გონებაგახსნილი ფეხბურთელია, მიმზიდველიც, რომელიც კარგად ესადაგება ჩემეულ სათამაშო სისტემას, რაც მწვრთნელს საქმეს უადვილებს. არველაძე გამოცდილი ფეხბურთელია და ახალგაზრდებს ეხმარება. მისი მოწვევით კარგი არჩევანი რომ გავაკეთეთ, მხოლოდ იმით არ მტკიცდება, რომ მას გოლები გააქვს, არამედ იმითაც, თუ როგორ იქცევა ის მოედანზე, როგორი ურთიერთობა აქვს სხვა ფეხბურთელებთან და ფანებთან.

— მწვრთნელობის გარდა, რა არის მეორე, რაშიც შეგიძლიათ თქვათ, რომ სამაგალითო ხართ?

— მიჭირს პასუხის გაცემა. ალბათ, ჩემი სოციალური შეგნება.

— წარსულზე საუბარს ხშირად არიდებთ თავს — წარსული თქვენთვის უმნიშვნელოა?

— ხანდახან ვიყურები ხოლმე უკან, მაგრამ ამას ადრე უფრო ვაკეთებდი. წინ უნდა იყურო და უკან მხოლოდ მაშინ მოიხედო, როცა შენი კარიერა უკვე მომთავრებული გექნება.

ათიანი თერთმეტზე

გიორგი დეკანოსიძე დინამოდან დინამომდე

გადრი კეთილაძის ფოტო

გიორგი დეკანოსიძე — თბილისის „ამერის“ ათი ნომერი, გუნდის თამაშის წამყვანი და განმსაზღვრელი.
ჩემპიონატის პირველი წრე ამ ფეხბურთელისთვის უიღბლო გამოდგა, თბილისის „დინამოსთან“ მატჩისას დაშავდა და მას შემდეგ ორი თვე გაუცდა. „ამერიც“, ფაქტობრივად, გამთამაშებლის გარეშე დარჩა, ეს ფუნქცია ხან ვის დაეკისრა, ხან — ვის. გიორგი დეკანოსიძე გუნდს მეორე წრისთვის მოსამზადებელ პერიოდში დაუბრუნდა.
საინტერესო კი ისაა, რომ იმ ტრავმის შემდეგ გამოჯანმრთელებულმა დეკანოსიძემ წლეულს თავისი ერთ-ერთი საუკეთესო თამაში გუშინწინ სწორედ „დინამოსთან“ ჩაატარა. „ამერმა“ ჩემპიონებს 2:1 მოუგო...

— „დინამოსთან“ რომ წაგვეგო, პრიზიორობის შანსი, ფაქტობრივად, დაიკარგებოდა და სამეულთან მიახლოება წარმოუდგენელი იქნებოდა. ამიტომაც ძალიან მოვინდომეთ და სასურველი შედეგიც მივიღეთ — გვითხრა გიორგი დეკანოსიძემ — კარგი, საინტერესო თამაში გამოვიდა, კმაყოფილი ვარ და მიხარია, რომ „დინამოს“ მოვუგეთ, თანაც სტუმრად.

— მონდომება გასაგებია, უამისოდ აუტსაიდერებთანაც გაგიჭირდებათ. კიდევ რის ხარჯზე აჯობეთ „დინამოს“?

— ვფიქრობ, ბურთი მეტოქეზე უკეთ, დიდხანს გავაკონტროლეთ და წარმატებაში მნიშვნელოვნად ესეც დაგვეხმარა. ისიცაა, რომ „ამერის“ ყველა ფეხბურთელმა თითქმის უშეცდომოდ ითამაშა, „დინამოს“ კი დაცვაში პრობლემები ჰქონდა. „დინამოს“ რამდენიმე ახალი ფეხბურთელი ჰყავს, გუნდსაც ეტყობა, ბოლომდე შეთამაშებული არ არის.

— აბა, ახლა, „დინამოს“ დამარცხების შემდეგ მადა მოგემატებათ...

— ახლა მთავარია, არ მოვდუნდეთ, განწყობა შევინარჩუნოთ. მართალია, „დინამოსთან“ მატჩის წინ მოტივაციას ყველა ირლად იქმნის ხოლმე, მაგრამ ჩემპიონატში არანაკლებ მნიშვნელოვანი მატჩები გველის. ქულების დაკარგვის დრო აღარ არის.

— მნიშვნელოვანი მატჩები თქვი, „ვიტ ჯორჯია“ და „სიონი“ იგულისხმე?

— ჩემპიონატის დამთავრებამდე თერთმეტი მატჩი დაგვრჩა და ჩვენთვის ყველა მნიშვნელოვანია. უბრძოლველად ვერც ერთ გუნდს მოუგებ. მოედანზე ნებისმიერ მეტოქესთან ბოლომდე უნდა დაიხარჯო.

— როგორ ფიქრობ, წლეულს ყველაზე კარგად „დინამოსთან“ ითამაშე?

— ასე ვერ ვიტყოდი, ჩემი თამაშით კმაყოფილი არასდროს ვარ, მგონია, რომ მეტი შემიძლია. ისე კი, „დინამოსთან“ „ამერმა“ მართლაც კარგად ითამაშა.

— არადა, პირველ წრეში სწორედ „დინამოსთან“ თამაშის შემდეგ გუნდს ორი თვით დააკლდი...

— სამწუხაროდ, ასე იყო. პირველ ტაიმში დავშავდი და მერე კარგა ხანს ვმკურნალობდი. ახლა ჯანზე ვარ და ფორმაც ბოლომდე აღვიდგინე.

— ტრავმის შემდეგ კი გუნდში საკმაოდ ძლიერი კონკურენტი დაგხვდა — „ამერმა“ „სიონიდან“ დავით ბოლქვაძე გადაიბირა...

— მერე და, კონკურენცია ხომ აუცილებელია?!

— აუცილებელია, მაგრამ როცა ორივე ერთად თამაშობთ, შთაბეჭდილება იქმნება, მოედნის ცენტრში ჩამშლელის ფუნქციების შესრულება ორივეს გიჭირთ...

— შესაძლოა, თუმცა პირადად ჩემთვის ბოლქვაძესთან ერთად თამაში სასიამოვნოა, ორივე ერთი სტილის ფეხბურთელები ვართ და ერთმანეთის კარგად გვესმის. ბურთის ენა ორივემ ვიცით, გათამაშებაც არ გვიჭირს. დანარჩენს კი მწვრთნელი უკეთ გეტყვით, მისი საქმეა, ვინ როდის და სად ითამაშებს.

— პირველ წრეში „ამერმა“ სულ 15 გოლი გაიტანა, გაზაფხულზე კი უკვე — 11. რას იტყვი, თავდამსხმელები აკეთებენ უკეთ საქმეს თუ ნახევარმცველებმა მოუხშირეთ შედეგიან პასებს?

— ერთიც და მეორეც. პირველ წრეში თითქმის ყველა მოგებული შეხვედრა თითო გოლით ჩავამთავრეთ. ახლა კი გაცილებით მეტი გაგვაქვს. ისე, მთავარია, გოლი იყოს და გუნდმა მოიგოს, თორემ ვინ გაიტანს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს?!

— „დინამოს“ დამარცხების შემდეგ რას ფიქრობ, ჩემპიონობისთვის ბრძოლა შეგიძლიათ?

— თუ ყველა თამაში მოვიგეთ, დარწმუნებული ვარ, ჩემპიონები გავხდებით.

— რეალურად ვთქვათ...

— რეალურად გეუბნებით, 11 დარჩენილი თამაში რომ მოვიგოთ, ჩემპიონი „ამერი“ იქნება. დანარჩენი კი ვნახოთ, რა გამოგვივა.

— სხვა ფავორიტებზე რას იტყვი?

— სადღეისოდ, ვინც პირველ ხუთეულშია, ჩემპიონობის შანსი ყველას აქვს.

— თასის ნახევარფინალში მეტოქედ რომელ გუნდს ისურვებდი?

— სულ ერთია. ყველა შემთხვევაში მთელი ძალით თამაში მოგვიწევს და მოდუნებას მეტოქე არ გვაპატიებს. ნახევარფინალში იოლი მატჩები გამორიცხულია. ჩვენც, რა თქმა უნდა, დიდი ბრძოლისთვის ვემზადებით.

კოგა ინასარიძე

გურამ დოლენჯავილის ფოტო

საფრთხოების ოფიცერი

კახური გინების ხიბლი და დეტექტივი ნამატჩევს

თელავში „კახეთისა“ და „ბორჯომის“ შეხვედრას თითქმის დეტექტიური და სამარცხვინო ფინალი მოჰყვა და სიუჟეტმა გავრძელება საფეხბურთო მოედნის გარეთ, თელავის პოლიციის უფროსის კაბინეტში ჰპოვა. გუშინ ამ ისტორიის თვითმხილველს, ფეხბურთის ფედერაციის სამსაჯო კომიტეტის ხელმძღვანელ ამირან კაჭახიძეს ვესაუბრეთ...

— თელავში მივლინებით ვიყავით ჩასულები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციიდან. მოგეხსენებათ, თან გოგონებიც გვახლდნენ — დამწყები მსაჯები, რომლებმაც ფეხბურთელებს ლექცია წაუკითხეს. შემიძლია გითხრათ, რომ ამან ნამდვილი ფურორი მოახდინა. თავად თამაშიც საკმაოდ საინტერესო გამოდგა, სტადიონზე ქომაგიც მრავლად იყო. ნამატჩევს ორივე გუნდის წარმომადგენელმა მადლობა გადაგვიხადა პირადად მეც და მსაჯებსაც. ამ დროს კი ვხედავ, მატჩის არბიტრი გიორგი ვადაჭკორია კოჭლობით მოჰყავთ...

— სერიოზულად არის დაშავებული?

— ფეხი ჩალურჯებული აქვს. ვკითხე, რა მოხდა-მეთქი. ვიღაცამ ფეხი ჩამარტყა, მაგრამ ვინ იყო, არ ვიცი, მიპასუხა. ქართული მენტალიტეტის ამბავი ხომ იცით, შეიძლება იცნო კიდეც, მაგრამ დამალა. მაშინვე გარეთ გამოვვარდი, პატრულის თანამშრომლებთან ერთად დავაკავე ის პიროვნება და სამსაჯო ოთახში შევიყვანეთ. აღმოჩნდა, რომ „ბორჯომის“ უსაფრთხოების ოფიცერი ვინმე გიორგი ჟამიაშვილი იყო. პოლიციელებს განვუცხადე, რომ ეს უკვე ცდებოდა საფეხბურთო ჩარჩოებს და მისი დაკავება მოვთხოვე. მეც გული დამწყდა, რომ კაცი კამერაში აღმოჩნდა, მაგრამ საკუთარ ქმედებაზე ყველამ პასუხი უნდა აგოს.

— ჟამიაშვილი მოგვიანებით მაინც გაუთავისუფლებიათ...

— ორივე გუნდის მწვრთნელს, მსაჯებს, კლუბების წარმომადგენლებს გვთხოვეს, პოლიციაში მივსულიყავით. ჩვენი მიზანი ნამდვილად არ იყო მისი დაჭერა. სხვათა შორის, თავადაც განიცადა მომხდარი და ბოდიში მოიხადა. გაფორმდა აღმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და ამ პიროვნებას აღმინისტრაციული სასჯელის სახით ჯარიმა დაეკისრა. ეს ინფორმაცია შესულია შსს-ის მონაცემთა ბაზაში და თუკი ბატონი ჟამიაშვილი მომავალში რაიმე სახის გადაცდომას ან დანაშაულს ჩაიდენს, აუცილებლად ამასაც შეახსენებენ.

— ის უფრო საკვირველია, რომ ეს უსაფრთხოების ოფიცერმა ჩაიდანა...

— მეც ეგ არ ვუთხარი?! უსაფრთხოების კი არა, საფრთხოების ოფიცერი ხარ-მეთქი. რომ მითხრა, შემთხვევით მომივიდაო, სიმწრისგან გამეცინა. გულშემატკივრის მხრიდან გინება - ფეხბურთისთვის ჩვეულებრივი ამბავია და კახეთში ამასაც კი თავისი შარმი აქვს, მაგრამ როცა კანონს არღვევს აღამიანი, რომელიც ფეხბურთში მუშაობს და ხელფასს იღებს, ეერაფერით ვაპატიებთ.

— თქვენ როგორ აფასებთ ამ მატჩში ვადაჭკორიას გარჯას?

— არა მარტო ამ მატჩში, გიორგი ვადაჭკორია ჩვენი იმედია, რომელსაც ფიფას არბიტრად აუცილებლად წარვადგენთ, წესიერი კაცია და გუშინაც კარგად იმსაჯა. მინდა ყველამ იცოდეს, რამდენადაც მომთხოვნი ვიქნები მსაჯების მიმართ, ისევე ყოველმხრივ დავიცავ მათ სხვადასხვა ჯურის ნაძირალებისგან. იცით, რომ რამდენიმე მსაჯი საერთოდ მოკვეთეთ ჩვენი რიგებიდან. ერთ-ერთზე მითხრეს, თავიდან წესიერი კაცი იყო, მაგრამ რომ დაინახა კარგსა და ცუდს შორის სხვაობა არ იყო, მანაც ხელი ჩაიქნია და დინებას მიჰყვაო. ასე აღარასოდეს იქნება.

— „ბორჯომის“ წარმომადგენელთა რეაქცია როგორი იყო?

— კლუბის პრეზიდენტი დავით გელაშვილი უკვე წასული იყო, ტელეფონით ვესაუბრე და ძალიან გაწიცადა ეს ამბავი. მწვრთნელ-ფეხბურთელებიც შეურაცხყოფილნი იყვნენ ჟამიაშვილის საქციელით. მინდა მადლობა ვუთხრა მათ, რომ სწორი პოზიცია დაიკავეს. ერთსაც ვიტყვი: ამ მატჩს თავად ვესწრებოდი და ინციდენტი ამიტომაც გახმაურდა. ვიცი, რომ სხვაგან და სხვა დროსაც ხდება მსგავსი ფაქტები, მაგრამ იჩქმალება. აუცილებლად მკაცრად მოვთხოვთ პასუხს მსაჯებსაც, დელეგატებსაც და დამკვირვებლებსაც, ვინც პრინციპულ პოზიციას არ დაიკავებს. არ ვიცი, რამდენ ხანს მომიწევს ამ სამსახურში ყოფნა და მომავალში ვინმეს გამოსწორების იმედად ვერ ვიქნები: მე ყველაფერს დღესვე მოვითხოვ.

გიორგი ნოზაძე

საქართველოს პირველი ლიგა	17	ჩემპიონატი ნრე
მეორე		

XXII ტური

16 მარტი

ხუთშაბათი

ზუგდიდი 1:2 რუსთავი

თბილისი 2 0:2 ვიტ ჯორჯია 2

საგარეჯო 1:5 გაგრა

დინამო 2 0:2 მერანი

მეშახტე 0:3 ამერი 2

მესხეთი 6:0 იმედი

ზესტაფონი 2 0:3 მაღაროელი

მეშაქრე 0:1 ჩიხურა

ლიახვი 2:3 გურია

ჩიხურა	22	17	3	2	62:22	54
მერანი	22	15	3	4	35:15	48
გაგრა	22	13	6	3	33:15	45
დინამო 2	22	12	5	5	36:14	41
ამერი 2	22	12	5	5	31:14	41
გურია	22	10	4	8	34:27	34
რუსთავი	22	9	7	6	32:24	34
მეშაქრე	22	10	3	9	31:24	33
მესხეთი	21	9	5	7	30:22	32
ვიტ ჯორჯია 2	22	8	5	9	21:22	29
ზუგდიდი	22	7	5	10	13:20	26
მეშახტე	21	6	7	8	20:20	25
საგარეჯო	22	6	4	12	22:32	22
ზესტაფონი 2	22	6	3	13	18:37	21
თბილისი 2	22	5	6	11	20:33	21
მაღაროელი	22	5	4	13	21:44	19
იმედი	22	5	1	16	14:48	16
ლიახვი	22	4	0	18	18:58	12

კუნძული ზესტაფონიო

ოფიციალურად ჯერ არა, მაგრამ თითქმის გადაწყდა, რომ საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრები 26 აპრილს მალტელ თანატოლებს ზესტაფონში უმასპინძლებს.

შეგახსენებთ, ქართველი 21-წლამდელები ევრო 2007-ის შესარჩევში მალტას 12 აპრილს ჯერ სტუმრად ეთამაშებიან. თუ ეს ეტაპი გაიარეს, ჩვენიანებს ჯგუფში სერბეთთან და ლიტვასთან მოუწევთ ბრძოლა.

და რატომ ზესტაფონის სტადიონზე? როგორც შევიტყვეთ, გუშინ იქ ჰაინც ტოპმიოლერი ჩავიდა, მინდორი შეუთვალიერებია და ძალიანაც მოსწონებია.

ილია ნანოგაშვილი

ბენერალური საინსური
საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგა

საქართველოს XVII ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა
მეორე წრე

19 ტური მიმოხილვა

როცა 4 წლისა 81 წლისას ერევა

ორი განსხვავებული საფრთხე: აბრეშა და ოფიცერი

გადაღება კალოევაძის ფოტო

ამერელი სულიკო დავითაშვილი (№7) გოლამდე დინამოელებმა ვერ დაიჭირეს, გოლის მერე კი თანაგუნდელებმა

ფეხბურთში ტრადიციები ბევრს ნიშნავს, მაგრამ არა ყველაფერს. ასე რომ იყოს, დღეს სათვალავში არ უნდა ვაგდებდეთ „ლიონს“, „ვილიარეალს“ და „ჩელსისაც“ კი... ასეთი უხერხული შედარება კი გამოგვდის ევროპასთან, მაგრამ ტრადიციებზე თუ მიდგა, „ამერს“ უშანსოდ უნდა წაეგო თბილისის „დინამოსთან“.

რა წაგება, „მიხეილ მესხზე“ ვერ გაარჩევდით, რომელი იყო „დინამო“ და რომელი ოთხი წლის წინ შექმნილი კლუბი, რომელიც უკვე შევიდა ქართულ საფეხბურთო ელიტაში. არ გვეშინია ამ სიტყვების — შესაძლოა, „ამერი“ ბოლომდე ვერ შეჰყვეს საჩემპიონო რბოლას, შესაძლოა, სულაც ევროსაგზურის გარეშე დარჩეს, მაგრამ ერთი კოხტა და გამართული კლუბის სახელი უკვე დაიგდო. ზოგს „დინამოს“ სახელი თრგუნავს, გლდანელებმა კი პირველ საუმაღლესლიგო სეზონშივე მოახერხეს მათი ძლევა.

კი, ანდრეი ჩერნიშოვმა მართლაც ვერ დაალაგა გუნდი, გია მეგრელაძე და ვიტალი დარასელიაც აკლდა, ბიჭებს შეუთამაშებლობა ეტყობოდათ, მაგრამ უმადურები ნუ ვიქნებით — „ამერმა“ ძალიან მაგრად ითამაშა. ძალიან მაგარი იყო სულიკო დავითაშვილის 88-ე წუთზე გატანილი: „აბრეშამ“ ანგარიშის გამხსნელ თავურს მართლაც სუპერგოლი მიაყოლა. არადა, ამ მატჩამდე კარგა ხანს უჩიოდა გოლების სიმწირეს.

ჩერნიშოვმა ნამატჩევს თქვა, ჩემი გუნდიდან ვერცერთ ფეხბურთელზე ვერ ვიტყვი, ნაკრებში თამაშს იმსახურებსო, გიორგი ჩიხრაძემ კი გვარები არ დაასახელა, მაგრამ სიტყვა „რამდენიმე“ ახსენა, კარგი იქნება, კლაუს ტოპმოლერის კრებულში თუ გამოიცდებიანო. ალბათ იცით, რომ „დინამო“ — „ამერს“ ჰერ კლაუსმაც ადევნა თვალი.

ასე თუ ისე, „დინამოს“ წაგებამ ორი გუნდი საგრძნობლად გაამაგრა ცხრილის კენწეროში. ბოლნისის „სიონს“ ფოთში დისკვალიფიცირებული კოკა მიკუჩაძე და ლევან ხმალაძე არ ჰყავდა, მაგრამ „კოლხეთს“ მიხეილ ხუციშვილმა სწრაფი გოლი გაუტანა და...

ლიდერ „ვიტ ჯორჯიას“ წინ ელის რთული მატჩები, მანამდე კი აუტსაიდერებს კინკილა გოლებით ერევა. ვიტელებმა მიჯრით მეოთხედ მოიგეს 1:0 და საგულისხმოა, რომ კვლავ ნახევარმცველმა (დავით დიმელაშვილმა) გაიტანა — ასე იცის ოთარ მარცვალაძის დაკარგვამ. „მწვანეები“ ყველა მატჩში საგრძნობ უპირატესობას ფლობენ, მაგრამ დამამთავრებელ ფაზაში სიზუსტე აკლიათ...

თქმა არ უნდა, ჩემპიონატის ფინიში ძალიან დაძაბული გამოვა, მაგრამ უფრო დაძაბული გამოვიდოდა, „ბათუმს“ პირველ წრეში განიავებული ქულები რომ არ ედოს გულზე ლოდად. ამჯერად არ გაუტანია რევაზ ჯიქიას, სამაგიეროდ, ბრაზილიელმა ტიაგომ და ვლადიმერ დვალიშვილმა ამოსცხეს ზუსტად და ზღვისპირელებმა ქუთაისის „ტორპედოს“ 2:0 მოუგეს. ქუთათურები დროულად თუ არ დაფაცურდებიან, უარესად წაუვათ საქმე — გასავარდნ ზონას უკვე ჩაკითხეს.

„ბათუმის“ დარად, დაგეგმილი სამი ქულა აიღო „ზესტაფონმა“, თანაც მისმა თავკაცმა თემურ მახარაძემ გიორგი განუგრავა საერთოდ არ ათამაშა, ზურაბ იონანიძე კი მხოლოდ ბოლო წუთებში დაასაქმა. ან რა რჯიდა? „ცხინვალი“ იოლად მოსადრეკი გუნდია, 18 მარტს კი ფეროელები სათასო მეოთხედფინალის საპასუხო მატჩში „დინამოს“ სტუმრობენ და ლიდერებს ხომ დასვენება სჭირდებოდათ.

საშუალო გუნდებიდან მეორე წრეში ყველაზე ფერიანად „კახეთი“ თამაშობს. თელაველები შინ მიყოლებით იგებენ და ახლა „ბორჯომი“ შემოემარცხათ. აი, კურორტელთა უსაფრთხოების ოფიცერ გიორგი ჟამიაშვილს კი მსაჯი გიორგი ვადაჭკორია შემოელახა... ყურადღება მიაქციეთ: უსაფრთხოების ოფიცერზეა ლაპარაკი. „ყოჩაღ“! ჟამიაშვილმა ნამატჩევს განახორციელა ეს „ტრიუკი“ და მიზეზი რომ ჰკითხეს, ეგრე უპასუხა, შემომელახაო, ჟარგონულ ენაზე რომ ვთქვათ, „გადაეკეტა“.

დაგვრჩა ორი მატჩი და ორივე... ეჰ, 0:0 აგერ, „იუვენტუს“ — „მილანი“ და „ვალენსია“ — „რეალიც“ დასრულდა, მაგრამ აქ „დილა“ — „ლოკომოტივზე“ და „სოხუმ“ — „სპარტაკზე“ ვსაუბრობთ, სადაც ფეხბურთისმაგვარი არაფერი ყოფილა და ოქმები თუ გაინტერესებთ, გუშინ ნახავდით...

ილია ნანობაშვილი

სიმბოლური ნაკრები

- **გიორგი იმედაძე** — *ზესტაფონი*
- **სულიკო დავითაშვილი** — *ამერი*
- **ტიაგო ჟენეირო** — *ბათუმი*
- **გოგი ფიფია** — *ზესტაფონი*
- **გრიგოლ დოლიძე** — *ამერი*
- **დავით დიმელაშვილი** — *ვიტ ჯორჯია*
- **გიორგი დეკანოსიძე** — *ამერი*
- **გიორგი ონიანი** — *ბათუმი*
- **ვახტანგ ხვადაგიანი** — *ამერი*
- **გიორგი სეთურიძე** — *ბათუმი*
- **ზურაბ ბათიაშვილი** — *სიონი*

გუნდი: ამერი

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

გომბარდირები

14-მარცვალაძე	*ვიტ ჯორჯია*
11-დვალი	*სიონი/დინამო*
10-იონანიძე	*ზესტაფონი*
9-მიკუჩაძე	*სიონი*
დოლიძე	*სიონი/ამერი*
დავითაშვილი	*ამერი*
8-ქორიძე	*ბორჯომი*
მეგრელაძე	*დინამო*
ბობოხიძე	*დინამო*
სულიკაშვილი	*დილა/ცხინვალი*

ვიტ ჯორჯია	19	15	3	1	39:10	48
სიონი	19	14	3	2	37:14	45
დინამო	19	12	3	4	32:13	39
ამერი	19	12	2	5	26:13	38
ზესტაფონი	19	11	4	4	26:15	37
ბორჯომი	19	11	1	7	32:17	34
ლოკომოტივი	19	10	4	5	29:17	34
ბათუმი	19	9	5	5	23:14	32
კოლხეთი	19	7	3	9	16:21	24
კახეთი	19	7	1	11	19:27	22
დილა	19	5	3	11	21:27	18
ცხინვალი	19	5	3	11	18:36	18
ტორპედო	19	4	5	10	14:26	17
სოხუმი	19	3	2	14	17:44	11
სპარტაკი	19	2	4	13	4:33	10
თბილისი	19	1	2	16	11:37	5

სტადიონი	მატჩი	მინდვრის მდგომარეობა	ორგანიზაცია	დასწრება	საშუალო ბალი
„ცენტრალური“ ზესტაფონი	ზესტაფონი 3:1 ცხინვალი	8,0	7,0	8,5	7,8
„ოლიმპი“ თბილისი	თბილისი 0:1 ვიტ ჯორჯია	7,0	6,0	5,0	6,0
„გ. ჩოხელი“ თელავი	კახეთი 1:0 ბორჯომი	6,5	3,5	7,0	5,6
„ფაზისი“ ფოთი	კოლხეთი 0:1 სიონი	6,0	5,5	5,0	5,5
„მიხეილ მესხი“ თბილისი	დინამო 1:2 ამერი	5,5	6,5	4,0	5,3
„დინამო“ ბათუმი	ბათუმი 2:0 ტორპედო	5,5	5,5	4,0	5,0
„თ. ბურჯანაძე“ გორი	დილა 0:0 ლოკომოტივი	5,5	5,0	3,0	4,5
„შევარდენი“ თბილისი	სოხუმი 0:0 სპარტაკი	5,5	4,5	3,0	4,3

მომდევნო ტური

25 მარტი, შაბათი

სიონი – სოხუმი
ამერი – დილა
ლოკომოტივი – ბათუმი
ტორპედო – კოლხეთი
სპარტაკი – კახეთი
ვიტ ჯორჯია – ზესტაფონი
ცხინვალი – დინამო
ბორჯომი – თბილისი



ერიკსონის რეჟიმი

ხუთვარსკვლავიანი ტყე, შეიძლება ყომარიც და არავითარი აგენტები

ინგლისის ნაკრებმა გერმანიაში ბინა უკვე ნახა. ბადენ-ბადენში ხუთვარსკვლავიანი სასტუმრო „ბულერჰოჰე შლოსჰოტელი“ იქირავეს, რომელიც ტყეშია, ქალაქიდან ოცი წუთის სავალზე. ერთი ოთახის დღეღამური ფასი 2150 ევროა.

სვენ გორან ერიკსონმა საფეხბურთო აგენტები გააფრთხილა, ჩემპიონატამდე ან მის მსვლელობისას თქვენი ფეხი არ ვნახო სასტუმროშიო. მიზეზად კი ძველი ამბავი გაიხსენა, როცა ევრო 2004-ზე სტივენ ჯერარდს აგენტები დასდევდნენ და „ჩელსიში“ ექაჩებოდნენ.

შვედი ნაკრების 26-კაციან სიას 8 მაისს დაასახელებს. 23 ძირითადი, სამი კი სათადარიგო იქნება იმ შემთხვევისთვის, თუ მუნდიალის დაწყებამდე ძირითადი შემადგენლობის რომელიმე ფეხბურთელი დაშავდება.

ერიკსონი: „მოთამაშეებს გუნდიდან გუნდში გადასვლას ვერ ავუკრძალავ. ეს ცხოვრებაა და მათი სამუშაოს ნაწილია, მაგრამ კარგი იქნება, თუ ამ საქმეს ჩემპიონატამდე მოაგვარებენ. არ მინდა აგენტების დანახვა სასტუმროში. ტრანსფერების მოსაგვარებლად მობილური ტელეფონი არსებობს“.

ბადენ-ბადენის სახელგანთქმული კაზინო, 250-წლიანი ისტორიით, სასტუმროდან ოცი წუთის სავალზეა და ფეხბურთელებს ყომარი თუ მოუნდათ, მწვრთნელის ნებართვა დასჭირდებათ.

„სასტუმრო ქალაქის ცენტრში იმიტომ არ მინდოდა, რომ ფეხბურთელებს შეაწუხებდნენ. ახლა მშვიდად ვიქნებით. ბიჭებს ქალაქში ჩასასვლელად 20 წუთი დასჭირდებათ, კაზინოში კი მხოლოდ მაშინ გავუშვებ, თუ კარგ ხასიათზე ვიქნები“ — განაცხადა შვედმა.

რაც შეეხება ნაკრების შემადგენლობას, სოლ კემპბელი, ეშლი კოული და მაიკლ ოუენი ჯერაც ტრავმირებულნი არიან, თუმც კემპბელი ცოტა გამოკეთდა და „არსენალის“ სარეზერვო გუნდში ერთი მატჩიც ითამაშა. ეშლი კოულს ოქტომბრის შემდეგ სტანჯავს ტრავმა, ხოლო ოუენს დეკემბრის აქეთ არ უთამაშია.

„მათ მოსაშუშებლად დრო სჭირდებათ და არ ვიცი, მაისისთვის როგორ ფორმაში იქნებიან — აღნიშნა ერიკსონმა — კემპბელს ველაპარაკე და მითხრა, რომ ძალიან უნდა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაში“.

გეხსომებათ, რომ ზოგიერთი ნაკრების მწვრთნელმა საჩემპიონატოდ განაცხადის წარდგენის ვადის 15 მაისიდან 1 ივნისისთვის გადაწევა მოითხოვა. „ეს ამბავი ვიცი — თქვა შვედმა — მაგრამ ფიფასგან პასუხი ჯერ არ ისმის. პირადად მე 26 ფეხბურთელს 8 მაისისთვის დავასახელებ და ყველას ეცოდინება, ვინ იქნება ძირითად 23-ში და ვინ — სათადარიგო სამი. ამ სამეულში ერთი მცველს, ნახევარმცველს და ფორვარდს შევიყვან“.

ინგლისური „ბირმინგემის“ ნახევარმცველმა ირაჯი იაროშიკმა თქვა, რომ გუნდში დარჩენა და გრძელვადიანი კონტრაქტის გაფორმება სურს, ოღონდ, იმ შემთხვევაში, თუ კლუბი პრემიერლიგიდან არ გავარდება. მოგეხსენებათ, იგი „ჩელსის“ საკუთრებაა, თუმც ჯოზე მურინიუმ ცოტა ხნის წინ აღნიშნა — ირაჯის „სტემფორდ ბრიჯზე“ დაბრუნება არარეალურიაო. „თუ „ბირმინგემი“ პრემიერლიგიდან არ გავარდება, მოლაპარაკებებს დავიწყებთ. ირაჯის ინგლისში დარჩენა უნდა, გუნდის თავკაც სტივ ბრიუსს კი — მისი შენარჩუნება“ — თქვა იაროშიკის აგენტმა ვიქტორ კოლარმა.

გერმანული „შტუტგარტი“ მომავალ სეზონში შესაძლოა, კრისტოფ დაუმმა ჩაიბაროს. თურქული „ფენერბაჰჩეს“ ახლანდელი მწვრთნელი შვაბებს 14 წლის წინათაც წვრთნიდა და მაშინ ჩემპიონებიც გახადა. მას მერე „შტუტგარტს“ ბუნდესლიგა არ მოუგია. „დაუმის ვარიანტს განვიხილავთ. იგი უდავოდ ძლიერი და წარმატებული სპეციალისტია, მაგრამ დატოვებს თუ არა „ფენერბაჰჩეს“ ჯერ უცნობია“ — აღნიშნა „შტუტგარტის“ თავმჯდომარე დიტარ ჰუნდტმა.

ინგლისური „პორტსმუთის“ მცველი რიჩარდ დაფი სეზონის ბოლოს გუნდს დაუბრუნდება. იგი ამჟამად „ქოვენთრიშია“ განათხოვრებული, მაგრამ „პორტსმუთთან“ ახალი კონტრაქტი გააფორმა და კლუბსაც 20 წლის ფეხბურთელის დიდად ეიმედება.

იტალიური და ინგლისური მედიის ცნობით მომავალ ზაფხულს ერნან კრესპო შეიძლება „მილანში“ დაბრუნდეს. გამოცდილი არგენტინელი „ჩელსის“ ძირითად შემადგენლობაში ვერ დამკვიდრდა, ხოლო „მილანი“ ისევ თავდამსხმელს ეძებს. ამბობენ, „როსონერი“ ზაფხულში კრესპოს გარდა ლიონელების — კრისის, ფრედისა და მაჰამადუ დიარას შეძენას ეცდებაო.

ფრანგული ასუ შესაძლოა არკადი გაიდამაკმა შეიძინოს. იგი ისრაელის „ბეითარის“ მეელობელია და ამბობენ, ფრანგულ ფეხბურთშიც აპირებს ფულის ჩადებასო. მან ცოტა ხნის წინ ცნობილი ფრანგული გაზეთი „ფრანს სუარი“ იყიდა და ასუ-თიც დაინტერესებულია. იგი ისრაელის საკალათბურთო გუნდ „ჰაპოელის“ სპონსორიცაა და გერმანიის მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების ტრანსლირების უფლებას ყიდულობს, რათა ებრაელი ქომაგები დასაჩუქროს.

ლივერპულმა ფულემი გაანითლა

ბენიტესმა ახალი კონტრაქტი გააფორმა, ფაულერმა კი პირველი გოლი გაიფორმა

ინგლისი

პრემიერლიგა

გადადებული მატჩი

ლივერპული 5:1 ფულემი

1:0 ფაულერი (16), 1:1 ჯონი (25), 2:1 ბრაუნი (34ს.ჯ.), 3:1 მორიენტესი (71), 4:1 კროუჩი (89), 5:1 უორნოკი (90)

ლივერპული: რეინა, ფინანი, კარაგერი, აგერი, ჯ. ტრაორე, ლუის გარსია, ჯერარდი, ჰამანი, კიუელი (უორნოკი 88), ფაულერი (ჯ. სისე 68), მორიენტესი (კროუჩი 81)

მწვრთნელი: რაფაელ ბენიტესი

ფულემი: ვერნერი, როსენიორი, ნაითი (კრისტენვალი 69), პირსი, ბრიჯი, რაძინსკი (ბ. მაკბრაიდი 78), მალბრანკი, მ. ბრაუნი, პემბრიჯი, ბოა მორტე, ჯ. ჯონი

მწვრთნელი: კრის კოულმენი

გაფრთხილება: ბრაუნი, ბრიჯი

მსაჯი: ვაილი

42 293 მაყურებელი

თითქმის თვენახევარი ელოდნენ „ლივერპულის“ ქომაგები რობი ფაულერის გოლს და „ფულემთან“ მატჩში ნახეს. ეს იყო „წითლების“ მაისურით ფაულერის პირველი გოლი მას შემდეგ, რაც „სიტიდან“ „ლივერპულში“ დაბრუნდა. რაფაელ ბენიტესის გუნდს ბოლოხანს შეტევაში ძალიან უჭირდა, „ფულემთან“ კი აფეთქდა და ხუთით გაუმასპინძლდა სტუმრებს. მერსისაიდელებისთვის, რომლებიც ჩემპიონთა ლიგიდან გამოვარდნენ, ეს გამარჯვება პირველი გამოდგა ბოლო ოთხ მატჩში.

ფულემელებთან შეხვედრამდე კი რაფაელ ბენიტესის აგენტი „ლივერპულის“ შეფს, რიკ პერის შეხვდა. ესპანელი მწვრთნელი, ვისაც მომავალ კვირაში 46 წელი უსრულდება კლუბთან კონტრაქტს 2010 წლამდე გაახანგრძლივებს, სანაცვლოდ კი დაახლოებით 10 მილიონ ევროს მიიღებს.

რობი ფაულერმა ახლოდან, თავური დარტყმით გახსნა ანგარიში. მის რვაწლიან, ლივერპულურ კარიერაში ეს 330-ე მატჩი იყო, გოლი კი 171-ე. „ფულემმა“, რომელსაც 10 თვეა, სტუმრად არ მოუგია, კოლინზს ჯონის წყალობით მალევე გაათანაბრა, თუმც მაიკლ ბრაუნმა ჰარი კიუელის ჩაწოდებული ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა და „ლივერპული“ კვლავ დაწინაურდა.

მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულ ჯიბრილ სისეს პასით ფერნანდო მორიენტესმა გაიტანა და სამთვიანი უგოლო სერია შეწყვიტა. ამის მერე მასპინძლებმა გაილაღეს. რაფაელ ბენიტესმა ჯერ მორიენტესი შეცვალა კროუჩით, რომელმაც მეოთხე გოლი მიართვა სტუმრებს, მერე კი კიუელის შემცვლელმა უორნოკმაც გაიხარა.

„ლივერპულმა“ ორ ქულამდე შეამცირა სხვაობა „მანჩესტერთან“ და მეორე ადგილისთვის ბრძოლა გრძელდება, თუმც მანჩესტერელებს ორი თამაში თადარიგში აქვთ.

ვაჟა ხუციშვილი

ჩელსი	29	24	3	2	58:18	75
მანჩესტერი	28	18	6	4	56:28	60
ლივერპული	30	17	7	6	39:20	58
ტოტენჰემი	29	13	10	6	41:28	49
არსენალი	29	14	5	10	45:23	47
ბლეკბერნი	29	14	4	11	38:34	46
ბოლტონი	27	12	9	6	37:28	45
უიგანი	29	13	4	12	34:36	43
ვესტ ჰემი	28	12	6	10	42:40	42
სოტი	29	12	4	13	39:34	40
ევერტონი	29	12	4	13	24:37	40
ნიუკასლი	29	11	6	12	29:32	39
ჩარლტონი	29	11	6	12	34:38	39
ასტონ ვილა	29	8	10	11	33:37	34
მიდლსბრო	28	9	7	12	37:46	34
ფულემი	30	9	5	16	39:51	32
ვესტ ბრომვიჩი	29	7	6	16	26:43	27
ბირმინგემი	28	6	6	16	23:39	24
პორტსმუთი	29	5	6	18	20:49	21
სანდერლენდი	29	2	4	23	19:52	10

დიდი კარიერის ლამაზი დასასრული

მილანი 1994 3:1 ბარსელონა 1994

1:0 ალბერტინი (5), 2:0 ვან ბასტენი (10), 3:0 ნადალი (30ს.ჯ.), 3:1 ესკერო (39)
მილანი 1994: როსი (იელპო 24), ტასოტი, ფ. გალი, ბარეზი (ნავა 25), მალდინი, ერანიო (ვეა 25), დესაი (დონადონი 25), ალბერტინი (კარბონე 31), ევანი (მასარო 25), ვან ბასტენი (გულიტი 14; ბობანი 36), პაპენი (სიმონე 24)
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
ბარსელონა 1994: სუბისარეტა (ხორკერა 27), გოიკოეჩეა, ალეხანკო (ოლეგერი 19), რაიკარდი (ვან ბომელი 25), ნადალი, ამორი, სერხი, სტოიჩკოვი (ესკერო 29), ლაუდრუპი, ხულიო სალინასი (მაქსი ლოპესი 29), ეუსებიო საკრისტანი (ინიესტა 30)
მწვრთნელი: იოჰან კრუიფი
35 000 მაყურებელი

მილანი 2006 0:1 ბარსელონა 2006

0:1 ეტოო (69პ)
მილანი 2006: დიდა (კალაჩი 23), შიმიჩი, ნესტა (სერჯინიო 23), კოსტაკურტა, კალაძე, ფოგელი (გატუზო 23), პირლო (ზეედორფი 23), ამბროზინი, რუი კოშტა (კაკა 23), შევჩენკო (ამოროზო 23), ჯილარდინო (ინძაგი 23)
მწვრთნელი: კარლო ანჩელოტი
ბარსელონა 2006: ხორკერა (ვალდესი 23), მარკესი (ალბერტინი 34), პუიოლი, ვან ბრონჰორსტი, ოლეგერი, ჟიული, ვან ბომელი (ედმილსონი 31), ინიესტა (დეკო 23), სილვინიო, ესკერო (ეტოო 23), მაქსი ლოპესი (რონალდინიო 23)
მწვრთნელი: ფრანკ რაიკარდი
35 000 მაყურებელი

დემეტრიო ალბერტინი

ფეხბურთიდან წავიდა. „მილანის“, „ატლეტიკო მადრიდის“, „ლაციოს“, „ატალანტასა“ და „ბარსელონას“ ყოფილი ნახევარმცველი „სან სიროს“ „მილანისა“ და „ბარსას“ შეხვედრით და დიდი ოვაციით გააცილა.

„საუცხოო, წარმატებებით მდიდარი კარიერა მქონდა, რისთვისაც მადლობა თანაგუნდელებს, „მილანს“, „ბარსელონას“ და ჩემი ოჯახის წევრებს მინდა ვუთხრა. მინდა საგანგებოდ გამოვყო ადამიანი, რომელმაც მთელი ეს კარიერა განაპირობა, ეს ადამიანი ბერლუსკონი გახლავთ. აგრეთვე დიდი მადლობა უნდა გადავუხადო ფანებს“ — განაცხადა მადლიერმა ალბერტინიმ. მის საპატივცემულოდ კი მოედანზე ძალიან საინტერესო ამბები ტრიალებდა:

ორ 40-წუთიან ტაიმში მაყურებელმა, შეიძლება ითქვას, ოთხი სხვადასხვა გუნდი იხილა. თავიდან ერთმანეთის პირისპირ 1994 წლის „მილანი“ და „ბარსელონა“ წარდგნენ, შემდეგ კი ამავე გუნდების დღევანდელმა შემადგენლობებმა განაგრძეს ბურთაობა. აღსანიშნავია აგრეთვე, რომ 1994 წლის „მილანს“ სათავეში მაშინდელი მწვრთნელი, ფაბიო კაპელო ედგა, „ბარსას“ კი იოჰან კრუიფი და, როგორც მაშინ, 12 წლის წინ, გამარჯვება ამჯერადაც კაპელოს დარჩა, ოღონდ ათენური ფინალისგან განსხვავებით 4:0 კი არა, 3:1.

რაც შეეხებათ „მილანის“ და „ბარსელონას“ თანამედროვე გუნდებს, რომლებიც, სხვათა შორის, ერთმანეთს შეიძლება ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშების ნახევარფინალში შეხვდნენ, მათი თამაში სამუელ ეტოოს გოლით და კატალონიელთა გამარჯვებით დამთავრდა.

ძველ „ბარსაში“ თამაშობდნენ სუბისარეტა, გოიკოეჩეა, რაიკარდი, ნადალი, სალინასი, სტოიჩკოვი, ამორი, ლაუდრუპი, სერხი, ეუსებიო და სხვანი. „მილანში“ — როსი, ტასოტი, გალი, ბარეზი, ვეა, ერანიო, დესაი, თავად ალბერტინი, კარბონე, ევანი, ვან ბასტენი, გულიტი, პაპენი და ძმანი მათნი.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ ანგარიში დღის გმირმა, ალბერტინიმ საჯარიმო დარტყმით გახსნა. „სან სიროს“ ტრიბუნიდან ამ სანახაობას თვალს თვით პრემიერი ბერლუსკონი ადევნებდა.

პაპუნა კედია

მარადონა ლინეკერს ღმერთის ხელს უწვდის

1986 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო მეგოლემ, ინგლისელმა გარი ლინეკერმა ბუენოს აირესში დიეგო მარადონა მოინახულა. ლინეკერი ახლა BBC-ს კომენტატორია და არგენტინელსაც სატელევიზიო მისიით შეხვდა — BBC 1986 წლის მექსიკის მუნდიალის გახმაურებულ მეოთხედფინალურ შეხვედრას სპეციალურ პროგრამას უძღვნის და ლინეკერის მარადონასთან ინტერვიუს ამ გადაცემაში დიდი ადგილი დაეთმობა. 20 წლის წინანდელ არგენტინა-ინგლისის ჯახში ხომ დიეგო გახლდათ ის „ჯალათი“, რომელმაც ბრიტანელთა გუნდი მსოფლიოს ჩემპიონატიდან გამოაგდო.

